ირაკლი მანველიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საჯარო მმართველობის დოქტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ინეზა ზოიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი

ნატალია ლაზბა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

პოლიტიკური განათლება საქართველოში: არსებული მდგომარეობის ანალიზი და გამოწვევები

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საზოგადოებრივი მეცნიერებების სფეროშიც შეიცვალა პოლიტიკური განათლების მიმართ დამოკიდებულება და შეფასება. მიუხედავად იდეოლოგიური მარწუხებისგან სამეცნიერო და აკადემიური დარგების, მათ შორის პოლიტიკის მეცნიერებების გათავისუფლებისა, განსაზღვრული სახით მათი განვითარება დაემორჩილა ფორმალურ თუ არაფორმალურ წესებს, რომელიც შორს დგას რეალური ინსტიტუციონალიზაციის ჩარჩოებისგან. უფრო მეტიც, ამ უკანასკნელმა შეიძინა მკვეთრად დიფერენცირებული და ნაკლებად რეგულარული ხასიათი. მათ შორის საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანა არის პოლიტიკური განათლების სტრუქტურის, შინაარსის და სწავლის მეთოდების ძირფესვიანი განახლება. უნდა შეიცვალოს არა მხოლოდ პოლიტიკური განათლების დისციპლინების ჩამონათვალი და მეთოდები, არამედ პოლიტი-

კის მეცნიერების წინაშე დგას რთული ამოცანა უზრუნველყოს იმ შეხედულებების და წარმოდგენების ჩამოყალიბება, რომლებიც კარგად უპასუხებს მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევებს, სამართლიანი სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს.

პოლიტიკური განათლების ხარისხმა უნდა მოახერხოს არა მხოლოდ ცოდნის გარკვეული სტანდარტის დაკმაყოფილება, არამედ უნდა უზრუნველყოს სწავლის ისეთი შედეგი, რომელიც გამოხატავს დამოუკიდებლობას, ინიციატივას, თვითგანვითარებას, მზაობას და პასუხისმგებლობას. პოლიტიკური განათლების უზრუნველყოფა კი უნდა მოხდეს პოლიტიკის მეცნიერებების ჩარჩოში.

საქართველოში პოლიტიკური მეცნიერება განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს გადის. მოხდა მისი, როგორც სასწავლო და აკადემიური დარგის პირველადი ინსტიტუციონალიზება, ნელი ტემპით და რთულად, მაგრამ მაინც ყალიბდება სამეცნიერო საზოგადოება. დღის წესრიგში დგება პოლიტიკური მეცნიერების უმაღლესი განათლების სწავლებისა და სწავლის კონცეფციის საბაზო კონტურების შეცვლის აუცილებლობა, რომელმაც უნდა უპასუხოს პოლიტიკური განათლების ახალ გამოწვევებს, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების და სამართლიანი სახელმწიფოს განვითარებას, ვინაიდან პოლიტიკური ცოდნა და კულტურა საჭიროა ნებისმიერი ადამიანისთვის, განსხვავებით მისი პროფესიული კუთვნილებისა. პიროვნების მიერ მსგავსი ცოდნის არქონამ ის შეიძლება აქციოს მანიპულირების ობიექტად ბევრად უფრო აქტიური პოლიტიკური ძალების მხრიდან ან მისი პასიურ ობიექტად გადაქცევა გამოიწვიოს. საზოგადოების პოლიტიკური პასიურობის დაძლევის პრობლემა რთულად გადაიჭრება, მაგრამ გარკვეულ საფეხურზე გადალახვის რესურსად გვევლინება ინდივიდების პოლიტიკური განათლება. იგი მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს: რაციონალურსა და ემოციურს. რაციონალური საჭირო ინფორმაციის გავრცელებაში მდგომარეობს, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებაში პოლი-

ტიკური ცოდნის მოცულობას. მეორე კომპონენტი უკავშირდება პოლიტიკურ სფეროში ხალხის ემოციური შეხედულებების ფორმირებას.

პოლიტიკური განათლება პოლიტიკური აღზრდის რაციონალურ კომპონენტთანაა დაკავშირებული, რაც ხელს უწყობს პიროვნებას შეძლოს ძალაუფლების, როგორც მისგან გაუცხოებულ ფენომენის აღქმის გადალახვა. ჩვენი აზრით, პოლიტიკური განათლების სწავლება ყურადღების აქცენტირებას უნდა ახდენდეს პიროვენების და საზოგადოების ხელისუფლებასთან კომუნიკაციის არსებულ მექანიზმებზე და დიალოგის განვითარების შესაძლებლობებზე.

არსებით გამოწვევად კვლავ რჩება პოლიტიკური მეცნიერების თეორიულ-მეთოდოლოგიური განვითარების არასათანადო დონე და ამასთან ერთად ეროვნულ ჭრილში მოცემული დარგის კონცეპტუალური აპარატის და ენის არ ქონა. ერთ-ერთი პრობლემად ასევე გვევლინება შესაბამისი კადრების დეფიციტი, რომელთაც პოლიტიკურ მოვლენებზე საკუთარი ხედვა გააჩნიათ, ხოლო პირი ვინც ასწავლის პოლიტიკას, გადასცემს პოლიტიკურ განათლებას არ უნდა იყოს მხოლოდ ამა თუ იმ პოზიციის უბრალოდ გამომხატველი.

თანამედროვე მსოფლიოს ყველა განვითარებად ქვეყნაში არსებობს სპეციალური პოლიტიკური განთლების დაწესებულებები, რომლებიც მოწოდებულია უზრუნველყოს ისეთი ამოცანის გადაჭრა, როგორიცაა მოსახლეობის მასობრივი პოლიტიკური განათლებულობა, რაც სამოქალაქო საზოგადოების პირობებში ამ უკანასკნელის მხრიდან ქმნის ხელისუფლების ეფექტურ კონტროლს. განათლება ყველა ეპოქაში იყო და არის პიროვნების, მოქალაქის ფორმირების ძირითადი საშუალება, რომელიც ასევე უზრუნველყოფს ადამიანის პროფესიულ მომზადებას. განათლების თანამედროვე გაგება გულისხმობს სისტემატურ ცოდნაზე დაფუძნებულ ისეთ პროცესს და შედეგს, რომელთანაც დაკავშირებულია მისი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა. სწორედ, პოლიტიკური და განათლების

სისტემებთანაა პრინციპულად დაკავშირებული საზოგადოების მდგომარეობა, მისი ხასიათი და განვითარების პერსპექტივა.

გარდამავალი განვითარების საზოგადოებისათვის საგანმანთლებლო პროცესში სამოქალაქო პოლიტიკური კულტურის ფორმირების პრობლემა მდგომარეობს მის დეიდეოლოგიზაციში, რომ მოხდეს პოლიტიკის ბუნების შესახებ ადეკვატური თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემა, რომელიც ეფექტურად მოახერხებს პოლიტიკური პროცესების ბევრად უკეთ გაგებას და აღქმას. მსგავსი ამოცანის წარმატებულად გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია პოლიტიკურ განათლებას მოახდინოს საქართველოს პოლიტიკური ტრადიციის, მისი კულტურულ-ისტორიული გამოცდილების და თანამედროვე რეალობების თეორიულ-კონცეპტუალური გააზრება.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური განთლების პრინციპულად განსხვავებული გაგება და აღქმა არსებობს განვითარებული დემოკრატიის საზოგადოებასა და გარდამავალ საზოგადოებაში. საქართველოში პოლიტიკური განათლების საკითხების სწავლებისა და კვლევის პროცესში მნიშვნელოვანია პოლიტიკური ხელისუფლების და პოლიტიკური განათლების ურთიერთმიმართების და ურთიერთდამოკიდებულების ცალკეული ასპექტების შესწავლაც.

საქართველოში ხელისუფლება ამ მიმართულებით გვევლინება პოლიტიკური განათლების კონტრაგენტად, რომელიც პოლიტიკური განათლების მიმართულებით იხსნის პასუხისმგებლობას, ორგანიზებას არ უკეთებს მოქალაქეთა განათლების დონის ამაღლებას. ის შემოიფარგლება მხოლოდ დემოკრატიის გარეგანი ატრიბუტების მხარდაჭერით, ვიდრე ხელი შეუწყოს მასობრივი ცნობიერების სიღრმისეულ ცვლილებებს ამ მიმართულებით. ასეთ შემთხვევაში ინიციატივა მოქალაქეების მხარეს გადადის, რომლებიც დამოუკიდებლად, იძენენ შესაბამის უნარ-ჩვევებს, რაც ხშირ შემთხვევაში წი-

ნააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს და შედეგად ისინი ხშირად ექცევიან ძლიერი პოლიტიკური ძალების გავლენის ქვეშ.

საქართველოში პოლიტიკური განთლების უზრუნველყოფის მიმართულებით უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. ამ მხრივ აღსანიშნავია ის, რომ პოლიტიკის მეცნიერება ვითარდება დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად. შეიქმნა არაერთი სამეცნიერო და სასწავლო სკოლები და მიმართულებები, როგორც დედაქალაქში ასევე რეგიონებში. ტარდება სამეცნიერო კონფერენციები და სემინარები. შეიქმნა გარკვეული შიდა პროფესიული საზოგადოების ინფრასტრუქტურა, მათ შორის პოლიტიკის მეცნიერებების ასოციაცია და პოლიტიკის მეცნიერებების დარგობრივი აკადემია.

საქართველოში პოლიტიკური განათლების თანამედროვე დონე წარმოადგენს ქაოტურ თეორიულ ნაკრებს განსხვავებული საავტორო სწავლების მეთოდების თვალსაზრისით, რომელიც წარმოჩენილია ვიწრო სპეციალიზაციის კონტექსტით. ყველა ეს არამართლზომიერი სტრუქტურა - არარსებულ სახელმწიფო სტანდარტებთან ერთად, ქმნის ქაოტურ სურათს პოლიტიკური განათლების მიღების პროცესში. ეს ნაკლებად ითქმის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტზე[1], სადაც პოლიტიკის მეცნიერებების განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი გამოცდილება დაგროვდა. დღეს ეს რესურსი არის პოლიტიკური განათლების განსაზღვრის მნიშვნელოვანი ვექტორი საქართველოში, რაც რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი.

პრობლემა განსაკუთრებით ეხება იმ უმაღლეს სასწავლებელებს რომლებიც პოლიტიკის მეცნიერებებში ან მის მომიჯნავე დარგებში ამზადებენ ექსპერტებს, ანალიტიკოსებს ან პროფესიონალებს პოლიტიკისთვის. ამავე სიმწვავით უნდა შეფასდეს პოლიტიკური

[1] თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდი - https://www.tsu.ge/ge/faculties/social/news/

განათლების მიღების პროცესი არასპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში თუ სპეციალობებზე. შეიძლება ზოგიერთ სპეციალობაზე პოლიტიკური განათლების მიღებას გარკვეული საათები ეთმობა, თუმცა იგი არ ემსახურება პიროვნების მიერ პოლიტიკური განათლების მნიშვნელობის სრულად გააზრებას ქვეყნის თითოეული მოქალაქის თუ ადამინის ცხოვრებაში. ამავდროულად სწავლისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა არასაკმარისი და მიზერულია. შესაბამისად, ხდება გადასაცემი მასალების მნიშვნელოვანი შემცირება, რაც საბოლოო ჯამში, ზედაპირულ ხასიათს ატარებს. მნიშვნელოვნია არა მარტო შესაბამისი რაოდენობის საათების გამოყოფა პოლიტიკური განათლების მისაღებად არასპეციალობის სტუდენტებისათვის. და ვფიქრობთ უფრო მეტიც სავალდებულო უნდა გახდეს პოლიტიკური განათლების მინიმალური სტანდარტის ათვისება ყველა სპეციალობის სტუდენტების მიერ. პოლიტიკური განათლების სრულყოფილად მიღების გარეშე სტუდენტები ვერ ახერხებენ შეისწავლონ ის თემები, რომლებიც სრულად ასახავს პოლიტიკის და პოლიტიკური პროცესების ნიუანსებს, ვერ ახერხებენ პირადად გაიაზრონ მათ მიერ სტრუქტურირებული მასალები, იმუშავონ დოკუმენტებთან, განიხილონ ისინი თანმიმდევრობით რეტროსპექტივის პრიზმაში.

ვფიქრობთ საათების მნიშვნელოვანი შემცირებული რაოდენობა და პოლიტიკური განათლების სრულად არ მიცემა რეალურად ნიშნავს სტუდენტების ყოფნას ე.წ. აზროვნების ქაოსში, რის შედეგადაც არ შეუძლიათ გაიგონ, ჩამოაყალიბონ სწორი დასკვნები, ჰქონდეთ საკუთარი თვალსაზრისი ფაქტებზე, მოვლენებსა და პროცესებზე.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საგანმანთლებლო პროგრამების გაცნობა არასახარბიელო სურათს ქმნის, პროგრამების აბსოლიტური უმრავლესობა პოლიტიკური განათლების მინიმალური ოდენობით უზრუნველყოფასაც არ ითვალისწინებს. არასწორედ მოხდა პოლიტიკური განათლების ჩანაცვლება ისეთი სასწავლო

კურსებით როგორიცა ”დემოკრატია და მოქალაქეობა”[2], ”სამოქალაქო განთლება”[3]. მიგვაჩნია, რომ უნდა შეიქმნას სასწავლო კურსი ,,პოლიტიკური განათლება“ ან ,,პოლიტიკა და მოქალაქე“, რომელიც იქნება საბაზო დისციპლინა საერთო ჰუმანიტარულ და სოციალურ-ეკონომიკურ დისციპლინების ციკლში. მისი მიზანია სტუდენტებს შეუქმნას ღრმა რაციონალური წარმოდგენა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ხელს შეუწყობს მსოფლიოს და საქართველოს პოლიტიკური რეალიებთან მიმართებით საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებაში, გაუძლიერებს საკუთარი სამოქალაქო უფლებების და თავისუფლების განხორციელების სურვილს.

პოლიტიკური განათლების, როგორც სასწავლო კურსის შინაარსობრივი შემადგენლობის მთავარი ამოცანა იქნება მისი თემატურ ბლოკებად განაწილება, რომლებიც საშუალებას მოგცემს გავაანალიზოთ თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების მნიშვნელოვან პრობლემები, მისი სპეციფიკა, ძირითადი კატეგორიები და პარადიგმები. სააუდიტორიო მუშაობამ უნდა მოიცვას მოსმენა და გათავისება, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს ყურადღება მიაქციოს დისციპლინის ძირითად პრობლემებს. ზოგადად კი პოლიტიკის მეცნიერების ობიექტსა და მეთოდოლოგიას. სასწავლო კურსმა ხელი უნდა შეუწყოს პოლიტიკური აზროვნების ძირითადი მიმართულებების გაცნობას, წარმოდგენა უნდა შეუქმნას ძალაუფლების არსზე, სახელმწიფოზე, სამოქალაქო საზოგადოებაზე, პოლიტიკურ ურთიერთობებზე, პროცესებზე, სუბიექტებზე, ერთმანეთისა-

---

[2] დემოკრატია და მოქალაქეობა, საკითხავი მასალა სტუდენტებისათვის, ავტორები გრიერ ბუროუსი, ზაზა რუხაძე, მარინე კვაჭაძე, ლელა გაფრინდაშვილი, ლევან იზორია, საკითხავი მასალა შემუშავებულია საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მიერ პროექტის ”ნდობის გაზრდა საარჩევნო პროცესებისადმი” (ITEP) ფარგლებში. თბილისი, 2011

[3] სამოქალაქო განათლება ყველასთვის, იხ. ბმულზე http://www.civiceducation.ge/ka/lessons

გან არჩევდეს პოლიტიკურ სისტემებსა და რეჟიმებს, იცოდეს პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური ლიდერები, შეეძლოს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების ანალიზი და განსაზღვროს საქართველოს როლი და ადგილი თანამედროვე პოლიტიკურ არენაზე, ფლობდეს პოლიტიკური კულტურის უნარ-ჩვევებს, შეეძლოს პოლიტიკური ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში და თავის მომავალ პროფესიულ საქმიანობაში გამოყენება.

აღიარებული ფაქტია, რომ ადამიანის ცნობიერება ასაკთან შედარებით ნაკლებად მოქნილია, ხოლო 35-45 წლის შემდეგ ზოგადად ადამიანები უარს ამბობენ ჩამოყალიბებულ სტერეოტიპების შეცვლაზე. ცხადია, დემოკრატიის პერსპექტივები დაკავშირებულია ახალგაზრდების პოლიტიკურ სოციალიზაციასთან. თაობები, რომლებიც დღეს დაასრულებენ უმაღლეს სასწავლებლებს რამდენიმე წელში უკვე შეცვლიან მმართველი ელიტის წარმომადგენლებს პოლიტიკის, ეკონომიკის, მართვისა და სოციალურ სფეროებში. როგორი იქნება ეს თაობა და რა ღირებულებების მატარებელნი იქნებიან, როგორ პოლიტიკურ განათლებასაც მიიღებენ ისინი, შესაბამისად, ისეთი იქნება საქართველოს პოლიტიკა მომავალში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი - https://www.tsu.ge/ge/faculties/social/news/

2. დემოკრატია და მოქალაქეობა, საკითხავი მასალა სტუდენტებისათვის, avtorebi გრიერ ბუროუსი, ზაზა რუხაძე, მარინე კვაჭაძე, ლელა გაფრინდაშვილი, ლევან იზორია, საკითხავი მასალა შემუშავებულია საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მიერ პროექტის ”ნდობის გაზრდა საარჩევნო პროცესებისადმი” (ITEP) ფარგლებში. თბილისი, 2011

3. სამოქალაქო განათლება ყველასთვის, იხ. ბმულზე http://www.civiceducation.ge/ka/lessons

Irakli Manvelidze, Ineza Zoidze, Natalia Lazba

Political education in Georgia: Analysis and Challenges of the Current Situation

Summary

After the restoration of the state independence of Georgia in the field of social sciences, the attitude and assessment of political education has changed. Despite the reliance on ideology and academic disciplines, including the principles of policy sciences, their development in line with formal or informal rules that stand far from real institutionalization frameworks. Moreover, the latter acquired sharply differentiated and less regular character. One of the most challenging tasks in the general public is the revival of the structure, content and learning methods of political education. To change not only the list and methods of political education, but also the science of science facing a difficult task to ensure the formation of ideas and ideas that are respond well to the achievements of the world civilization, the fair state and the development of civil society.